პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ დეკემბერი, 2019 წელი ქალაქი ბათუმი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
არასასოფლო-სამერნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების
უფლებით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული:

ა) ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. №40-ში მდებარე 264,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.25.05.233);

ბ) ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. №13ა/დასახლება მახვილაურის მეურნეობა/ტაბიძის ქ. №40-ში მდებარე 1065,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.25.05.235);

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული უძრავი ქონებების ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. N40-ში (ს/კ 05.25.05.041) მდებარე საცხოვრებელ სახლში მაცხოვრებლების მიერ შექმნილ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედი"-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად გადაცემა.

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებებზე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება მათი ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. N40-ში (ს/კ 05.25.05.041) მდებარე საცხოვრებელ სახლში მაცხოვრებლების მიერ შექმნილ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედი"-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად გადაცემა.

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებებზე უფლება უბრუნდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს უძრავი ქონების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

3. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (რ.ბოლქვაძე) უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ უძრავ ქონებებზე საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და გადაცემული უძრავი ქონების მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამერნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის 11 ივლისს წარედგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს #01-01-10/3467 (#19085/25) წერილი, რომლითაც ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. N40-ში (ს/კ 05.25.05.041) მდებარე საცხოვრებელ სახლში მაცხოვრებლების მიერ შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,იმედი"-ს 2019 წლის 27 ივნისის #01-01-09/4814 განცხადებიდან გამომდინარე გვაცნობებს, რომ მაცხოვრებლებზე საკუთრებაში არსებული ფართების (რომლებიც საკუთრებაში გადაეცათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 19 ივლისის N140 ბრძანებით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, თითოეულს 1 (ერთ) ლარად) გადაცემის დროს არ იქნა გათვალისწინებული აღნიშნულ საცხოვრებელ ფართში განთავსებული დამხმარე ფართების (კიბის უჯრედი, სადარბაზო, სათავსო, სველი წერტილები) გადაცემა, რომელიც ფაქტიურ სარგებლობაში იყო იმ პერიოდისათვისაც. აღნიშნული ხარვეზის გამო ამხანაგობა რეალურად ვერ ახორციელებს გამართულ სამეურნეო საქმიანობას და საცხოვრებელი სახლების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას (მრავალბინიანი სახლის რეაბილიტაცია, ეზოს მოწესრიგება და ა. შ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, ბ.მ.ა. ,,იმედი" ითხოვს ხარვეზის გამოსწორების და ამხანაგობის წევრების (91 ოჯახი) საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცეს: ა) ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. №40-ში მდებარე 264,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.25.05.233); ბ) ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. №13ა/დასახლება მახვილაურის მეურნეობა/ტაბიძის ქ. №40-ში მდებარე 1065,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.25.05.235);

საკითხთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2019 წლის 17 დეკემბერს წარმოდგენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის #2660/02 წერილი (#32148/25), რომელშიც მოყვანილია ზემოთაღნიშნული გარემოებები, საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული მიმოწერები და აღნიშნულია, რომ ვინაიდან მუნიციპალიტეტი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას პოზიტიური პირობით (განკარგვის ფორმა, საფასური) საკუთრებაში გადაეცეს ზემოაღნიშნული ქონება, შემდგომში ბ.მ.ა ,,იმედი"-სათვის გადაცემის მიზნით და ითხოვს შემდგომი განკარგვის მიზნით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას პოზიტიური პირობით საკუთრებაში გადაეცეს ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. №40-ში მდებარე 264,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.25.05.233) და ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. №13ა/დასახლება მახვილაურის მეურნეობა/ტაბიძის ქ. №40-ში მდებარე 1065,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.25.05.235);

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთაღნიშნული უძრავი ქონებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. N40-ში (ს/კ 05.25.05.041) მდებარე საცხოვრებელ სახლში მაცხოვრებლების მიერ შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,იმედი"-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. №40-ში მდებარე 264,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (ს/კ 05.25.05.233) და ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. №13ა/დასახლება მახვილაურის მეურნეობა/ტაბიძის ქ. №40-ში მდებარე 1065,0 კვ.მ.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.25.05.235) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. N40-ში (ს/კ 05.25.05.041) მდებარე საცხოვრებელ სახლში მაცხოვრებლების მიერ შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,იმედი"-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად გადაცემის მიზნით.

ზ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ზ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ზ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით კოპინაძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

3467-01-01-10-2-201907111157

N 01-01-10/3467
11/07/2019

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

ბატონო ლაშა,

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში შემოვიდა, ქალაქ ბათუმში, ტაბიძის ქუჩა N40-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მაცხოვრებლების მიერ შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედის" განცხადება, რომლითაც გვაცნობებს, რომ თავის საკუთრებაში არსებული ფართების (რომლებიც საკუთრებაში გადაეცათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 19 ივლისის N140 ბრძანებით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, თითოეულს 1 (ერთი) ლარად) გადაცემის დროს არ იქნა გათვალისწინებული აღნიშნულ საცხოვრებელ ფართში განთავსებული დამხმარე ფართების (კიბის უჯრედი, სადარბაზო, სათავსო, სველი წერტილები) გადაცემა, რომელიც ფაქტიურ სარგებლობაში იყო იმ პერიოდისათვისაც. აღნიშნული ხარვეზის გამო ამხანაგობა რეალურად ვერ ახორციელებს გამართულ სამეურნეო საქმიანობას და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას (მრავალბინიანი სახლის რეაბილიტაცია, ეზოს მოწესრიგება და ა.შ).

გამომდინარე აქედან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედი" ითხოვს ხარვეზის გასწორების და ამხანაგობის წევრების (91 ოჯახი) საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმში, ტაბიძის ქუჩა N40-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 771,4 კვ/მ არასაცხოვრებელი ფართი (კიბის უჯრედი, სადარბაზო, სათავსო, სველი წერტილები), მასზე წილობრივად მიმაგრებული მიწის ნაკვეთთან ერთად (ს/კ 05.25.05.041.01.500) და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 264 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზო, ს/კ 05.25.05.233).

გიგზავნით ზემოხსენებულ განცხადებას, გთხოვთ განიხილოთ და გვაცნობთ თქვენი პოზიცია დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: „1" ფურცელი.

პატივისცემით,

თინათინ ზოიძე

მინისტრის მოადგილე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. №40
ამხანაგობა „იმედის“ თავმჯდომრის
ლიანა ჯაყელის

განცხადება

ბატონო მინისტრო,

ტაბიძის ქუჩა №40 საცხოვრებელი სახლის (საკადასტრო კოდი: 05. 25. 05. 041) მცხოვრებლებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 19 იელისის №140 ბრძანების საფუძველზე გადმოგვეცა საცხოვრებელი ფართი საკუთრების უფლებით, დამხმარე სათავსოები (სველი წერტილები, დერეფნები, აივნები...) სულ 771.40 კვ.მეტრი, რომელიც იყო საერთო სარგებლობაში და ამჟამად ირიცხება აჭარის ავტონომიური რესპუბლკის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე.

საცხოვრებელი სახლი ავარიულ მდგომარეობაშია, საჭიროებს განახლებას. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნული ქონების მიმდებარე ტერიტორიის განვითარება (განაშენიანება) უნდა მოხდეს მიზანმიმართულად, ერთიანი კონცეფციით. შესაბამისად, ეს ტერიტორია რომ გახდეს პოტენციური ინვესტორისთვის საინტერესო და მიმზიდველი, საჭიროა ქ. ბათუმში, რაბიძის ქ. №40-ში მდებარე 05. 25. 05. 041 ს/კ-ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმარებული და რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების:

1. ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. №13, (დასახლება მახვილაურის მეურნეობა), ტაბიძის ქ. №40-ში მდებარე 1065,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05. 25. 05. 235) და
2. ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. №40-ში მდებარე 264,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05. 25. 05. 233)

შემდგომი განვითარების მიზნით ერთიანად განკარგვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი და ამხანაგობა „იმედის“ მაცხოვრებელთა უდიდესი თხოვნაა, არსებული შენობის ფართი 771,40 კვ. მეტრი და მომიჯნავე მიწის ნაკვეთი გადმოგვცეთ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად.

ამხანაგობა „იმედის“ თავმჯდომარე ლიანა ჯაყელი

24. 06. 2019 წ.

საქართველოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
შემოსული კორესპონდენცია
№ 01-01-09-/4814 27.06.19
შემავლობის კოდი 1

8 557-247-100

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/21015
05/09/2019

21015-25-2-201909051444

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

ასლი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა
„იმედი"-ს თავმჯდომარეს
ლიანა ჯაყელს
(ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. #40)
ტელ: 557 27 71 00

ბატონო ჯაბა,

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხილული იქნა თქვენი 2019 წლის 11 ივლისის #01-01-10/3467 (#19085/25) წერილი, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. #40-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედი"-ს განცხადებას, ხუთსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელ კორპუსში არსებული არასაცხოვრებელი ფართების და კორპუსის მომიჯნავედ არსებული, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების სიმბოლურ ფასად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედი"-სათვის საკუთრებაში გადაცემას.

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია არ არის წინააღნდეგი, რომ როგორც თქვენს წერილშია აღნიშნული - ამხანაგობის მიერ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების (მრავალბინიანი სახლის რეაბილიტაცია, ეზოს მოწესრიგება და ა.შ.) და ტერიტორიის ერთიანად განვითარების მიზნით მოთხოვნილი უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცეს ამხანაგობა „იმედს". აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. #40-ში მდებარე, #05.25.05.041 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (ამხანაგობის და სახელმწიფოს თანასაკუთრება) მომიჯნავედ არსებული, თქვენს წერილში მითითებული, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში,

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge

ტაბიძის ქ. #40-ში მდებარე 264,00 კვ.მ. არასასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.25.05.233) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია განსახილველად წარუდგენს ქალაქ ბათუმის საკრებულოს.

რაც შეეხება ამხანაგობა „იმედი"-ს განცხადებაში მითითებულ, ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. #13ა/დასახლება მახვილაურის მეურნეობა/ტაბიძის ქ. #40-ში მდებარე 1065,00 კვ.მ. არასასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 05.25.05.235), იმ შემთხვევაში თუ იგეგმება ამ მიწის ნაკვეთის ამხანაგობა „იმედი"-სათვის საკუთრებაში გადაცემაც, ანალოგიურად შეიძლება განხილული იქნას მისი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხიც.

პატივისცემით,

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/28090
26/11/2019

28090-25-2-201911261058

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

ასლი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედი"-ს
თავმჯდომარეს ლიანა ჯაყელს
ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. #40 (557 27 71 00)

ბატონო ჯაბა,

თქვენი 2019 წლის 11 ივლისის #01-01-10/3467 (#19085/25) წერილის პასუხად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გამოეგზავნა #25/21015 (05.09.2019წ.) წერილი, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. #40-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედი"-ს განცხადებას (#01-01-09/4814; 27.06.2019წ.), ხუთსართულიან მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში არსებული არასაცხოვრებელი ფართების და კორპუსის მომიჯნავედ არსებული, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების სიმბოლურ ფასად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედი"-სათვის საკუთრებაში გადაცემას.

განმეორებით გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია არ არის წინააღნდეგი, რომ ამხანაგობის მიერ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების (მრავალბინიანი სახლის რეაბილიტაცია, ეზოს მოწესრიგება და ა.შ.) და ტერიტორიის ერთიანად განვითარების მიზნით მოთხოვნილი, თქვენს წერილში აღნიშნული 264,00 კვ.მ. (ს/კ 05.25.05.233) და ამხანაგობა „იმედი"-ს განცხადებაში მითითებული 1065,00 კვ.მ. (ს/კ 05.25.05.235) მიწის ნაკვეთები საკუთრებაში გადაეცეს ამხანაგობა „იმედს". აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. #40-ში მდებარე 264,00 კვ.მ. არასასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ05.25.05.233) და ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. #13ა/დასახლება მახვილაურის მეურნეობა/ტაბიძის ქ. #40-ში მდებარე 1065,00 კვ.მ. არასასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ05.25.05.235) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია განსახილველად წარუდგენს ქალაქ ბათუმის საკრებულოს.

პატივისცემით,

ლაშა კომახიძე

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 2660/02 "17" 12 2019

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

ბატონო ლაშა,

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილ იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 26 ნოემბრის N25/28090 კორესპონდენცია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალურ საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. N40-ში მდებარე 264,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (ს/კ 05.25.05.233) და ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ.N13ა/დასახლება, მახვილაურის მეურნეობა/ტაბიძის ქ. N40-ში მდებარე 1065,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.25.05.235), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში აღრიცხვის შესახებ. შემდგომში, ბ.მ.ა „იმედისათვის" გადაცემის მიზნით.

ამასთან, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს, მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას პოზიტიური პირობით (განკარგვის ფორმა, საფასური) საკუთრებაში გადმოეცეს ზემოაღნიშნული ქონება. შემდგომში, ბ.მ.ა იმედისათვის გადაცემის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას პოზიტიური პირობით საკუთრებაში გადმოეცეს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალურ საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. N40-ში მდებარე 264,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.25.05.233) და ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. N13ა/დასახლება, მახვილაურის მეურნეობა/ტაბიძის ქ. N40-ში მდებარე 1065,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.25.05.235).

დანართი: „6" ფურცელზე.

პატივისცემით,
თორნიკე რიყვაძე